

კისრება უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა, რაც ხელს შეუწყობს ბანკის სტრატეგიის, მათ შორის, სტრატეგიული გეგმისა და ბიზნესგეგმის (ბიუჯეტი), შემუშავებასა და მისი განხორციელების მონიტორინგს. ამ სტრუქტურას ასევე უნდა მიენიჭოს უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა, გააანალიზოს აქტუალური და მიზნობრივი ანგარიშები ბიზნესგეგმასთან დაკავშირებით და მოახსენოს ანალიზის შედეგები დირექტორატს.

სტრატეგიული გეგმა და ბიზნესგეგმა (ბიუჯეტი) უნდა მიიღოს დირექტორატმა და დაამტკიცოს სამეთვალყურეო საბჭომ. ამ გეგმებს უნდა გაეცნოს ბანკის ყველა თანამშრომელი და პასუხისმგებელი პირი ორგანიზაციული სტრუქტურის ყველა დონეზე.

საკონტროლო კითხვები:

1. რატომ წარმოადგენს საბანკო რისკების ცოდნა, აღმოჩენა, იდენტიფიკაცია და კონტროლი სახელმწიფო ინტერესის ობიექტს?
2. რა არის საბანკო რისკი?
3. რა შეგიძლიათ თქვათ საბანკო რისკების კლასიფიკაციაზე?
4. წარმოშობის წყაროებს მიხედვით საბანკო რისკების კლასიფიკაცია რომელი ოთხი ძირითადი მიმართულების რისკებს მოიცავს?
5. რა შედის ფინანსური რისკების ჯგუფში?
6. რომელ რისკებს მოიცავს მომსახურების მიწოდების რისკების ჯგუფი?
7. რომელ სახეობებს მოიცავს მმართველობითი რისკები?
8. რა შედის დანარჩენი (გარე) რისკების ჯგუფში?
9. რას გულისხმობს ძირითად და არაძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული საბანკო რისკები?
10. რას გულისხმობს საბანკო რისკები საქმიანობის სფეროების მიხედვით?
11. როგორ დაახასიათებდით საკრედიტო რისკს?
12. რა იცით საკრედიტო რისკის წარმოშობის მიზეზების შესახებ?
13. როგორია სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის როლი საკრედიტო რისკებთან მიმართებაში?
14. რას ნიშნავს საბაზრო რისკი და რომელ კომპონენტებს მოიცავს იგი?

15. როგორ დაახასიათებდით საპროცენტო რისკს და მისი წარმოშობის წყაროებს?
16. რას გულისხმობს სავალუტო რისკი?
17. როგორია საფონდო რისკის განმარტება?
18. როგორია სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის როლი საბაზრო რისკებთან მიმართებაში?
19. რას ნიშნავს კომერციული ბანკის ლიკვიდობის რისკი და მისი რომელი სახეობები იცით?
20. როგორ დაახასიათებდით სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის როლს ლიკვიდობის რისკთან მიმართებაში?
21. რა იცით საოპერაციო რისკისა და მისი სახეობების შესახებ?
22. რას გულისხმობს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის როლი საოპერაციო რისკთან მიმართებაში?
23. როგორ დაახასიათებდით სამართლებრივ რისკს და უმაღლესი მენეჯმენტის როლს რეპუტაციის რისკთან მიმართებაში?
24. რას გულისხმობს რეპუტაციის რისკი და როგორია უმაღლესი მენეჯმენტის როლი მასთან მიმართებაში?
25. როგორ გესმით სტრატეგიული რისკი და უმაღლესი მენეჯმენტის როლი სტრატეგიულ რისკთან მიმართებაში?